

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №738

2020 წლის 10 დეკემბერი

ქ. თბილისი

შპს „ვარციხე-2005-ისთვის“ საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრების შესახებ

მუხლი 1

„ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 162-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო ეკონომიკური ინტერესიდან გამომდინარე, მიწოდების უსაფრთხოების, უწყვეტობის, სათანადო ხარისხისა და ფასის უზრუნველყოფის მიზნით, შპს „ვარციხე-2005-ს“, ამ დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, დაეკისროს საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება და განისაზღვროს საჯარო მომსახურების გამწევ ელექტროენერჯის მწარმოებლად 2030 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის, მისი კუთვნილი ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის – ვარციხეჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის იმ ნაწილზე, რომელსაც ელექტროენერჯის ბაზრის წესებით განსაზღვრულ შესაბამის საანგარიშო პერიოდში არ მოიხმარენ შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ (ან ამ მუხლით გათვალისწინებული ობიექტების მიმართ მისი უფლებამონაცვლის) საკუთრებაში არსებული ის ობიექტები, რომლებსაც შპს „ვარციხე-2005“, ამ დადგენილების გამოქვეყნების დღის მდგომარეობით, პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე აწვდით ელექტროენერჯას.

მუხლი 2

1. შპს „ვარციხე-2005“ ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ საჯარო მომსახურებას ახორციელებს ვარციხეჰესის მეშვეობით, საბითუმო საჯარო მომსახურების მიზნებისთვის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციით“ გათვალისწინებულ საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციასთან (სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“) გაფორმებული ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შპს „ვარციხე-2005“ ელექტროენერჯის დღით ადრე და საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრების:

ა) ამოქმედებამდე, თავის მომსახურებას აგრძელებს გარდამავალ პერიოდში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ამოქმედების შემდეგ, ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული საჯარო მომსახურების განხორციელების მიზნით, შპს „ვარციხე-2005“ ორგანიზებულ ბაზრებზე ვაჭრობს კონცეფციის, შესაბამისი ბაზრის წესების, კონცეფციით გათვალისწინებულ საბითუმო საჯარო მომსახურების ორგანიზაციასთან (სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“) გაფორმებული ფასთა სხვაობის ხელშეკრულების, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა პირობების შესაბამისად.

მუხლი 3

ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება არ ვრცელდება ვარციხეჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის იმ ნაწილზე, რომელსაც მოიხმარენ იმავე მუხლით გათვალისწინებული ობიექტები.

მუხლი 4

ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლებით განსაზღვრული საჯარო მომსახურების ვალდებულების შესრულებისთვის ტარიფის დადგენის საკითხი რეგულირდება „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად,



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ.

მუხლი 5

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს ამ დადგენილების ამოქმედებიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულებების რეგულარული გადახედა მისი საჭიროებისა და ზემოქმედების შედეგების განსაზღვრის მიზნით და საქართველოს მთავრობისთვის სათანადო ინფორმაციისა და წინადადებების წარმოდგენა.

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

